პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 ივლისი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 136 (9547) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები

● **სინქრონული ცურვა** (სსრ კავშირის-ჩემპიონატი). **ეკატერინა ფალასკანიდი** — ოქროს მედალი (ჯგუფური ვარჯიში).

● **ფარიკაობა** (მსოფლიო უნივერსიადა). **აკაკი მახარაძე, ირაკლი გვარამია** — ვერცხლის მედალი (გუნდური პირველობა); ტანვარჯიში. **ეკა ზეთურიძე** — ბრინჯაოს მედალი.

● **ჭადრაკი** (უნგრეთის საერთაშორისო ტურნირი). **ელენა ახმილოვსკაია** — პირველი ადგილი.

● **ველოსპორტი** (სსრ კავშირის ჩემპიონატი). **ოთარ მჭედლიშვილი** — მეორე ადგილი.

ფრთხილად, უკუპროცესი!

ერთი ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს რომ მივმართოთ, ამ წერილის თემა ასე გამოიკვეთება: „მითხარი, ვინ არის შენი აღმზრდელი და ვეტყვი, ვინა ხარ შენ“. სპორტიც აღზრდის სკოლაა, და ალბათ არანაკლები, ვიდრე სხვა აღმზრდელობითი დაწესებულება. მეგობრობას, თანადგომას, მიზნისკენ სწრაფვას, შეუპოვრობას, ოპტიმიზმს, პატრიოტიზმს, რაღა თქმა უნდა, მხნეობას, ჯანმრთელობას... აი, რას იძლევა „სპორტის სკოლა“. მაგრამ, სადაც სკოლაა, ცხადია, იქ აღმზრდელიც არის, რომლის პიროვნული თვისებები, ინტელექტი და ცხოვრების წესი მისაბაძია აღსაზრდელისთვის. ამასთან მწვრთნელი მშობელივით ახლობელია სპორტსმენისთვის, აღზრდის პროცესში მისი თანატოლიც არის და უახლოესი მეგობარიც.

მადლობა ღმერთს, ქართული სპორტის ისტორიამ არაერთი და ორი ქამულიშვილის სახელი იცის, რომლებიც ზნეობრივი გმირები იყვნენ და არა მარტო თავიანთი შეგირდების, არამედ მთელი თაობებისთვის. სპორტმა უკიდეგანოდ გააფართოვა თავისი საზღვრები. ეს ასეც უნდა იყოს. ისიც ცხადია, რომ სპეციალისტთა მრავალრიცხოვან არმიაში ყველა ვერ იქნება აღსაზრდელის სულიერი მოძღვარი — ძნელია და იმიტომ...

ბოლო ხანებში შეიქმნა მწვრთნელისა და აღსაზრდელის რაღაც უცნაური სტერეოტიპი. აღმზრდელის ფუნქცია მეურვის ფუნქციამ შეცვალა, მეურვისა — ცუდი გაგებით. ახლახან ჩვენი რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ის ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ და ყოველგვარ პირობებს უქმნიან სტუდენტ სპორტსმენებს სწავლისა და სპეციალობის დაუფლებისათვის, იძულებული გახდნენ ზოგიერთი სტუდენტის, მათ შორის ცნობილი ტიტულოვანი სპორტსმენის სასწავლებლიდან გარიცხვის საკითხი დაეხვათ. რა ხდება? გვესმის, ძნელია ერთმანეთთან შეათავსო დიდი სპორტი და სწავლა, მაგრამ შეუძლებელი როდია. დრო, როგორც ამბობენ, მხოლოდ ზარმაცებს არ ჰყოფნით. და, რაოდენ უცნაურადაც უნდა ეჯერდეს, სტუდენტის გაზარმაცებას ხელს ზოგიერთი მწვრთნელიც უწყობს. თუ ასე არ არის, მაშინ საიდან გაჩნდა მოარული ფრაზები: „შენ ივარჯიშე, კარგად გამოდი შეჯიბრებებში და ნიშანს დაგიწერენ“, „გამოცდაზეც არ გაბვალ ხესიების დროს...“, „მთავარია მატრიკული არ დაკარგო“ და ა. შ. ახე „მოძღვრავს“ ოსტატი თავის შეგირდს სპორტულ დარბაზში თუ მის მიღმა, კერძო საუბარში. ახეთი ვაი-მწვრთნელი მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს და, ვთქვათ, პირდაპირ, პირად კეთილდღეობაზე ფიქრობს, ხვალ თუ შეგირდი დიპლომიანი არასპეციალისტი იქნება და ცხოვრებისთვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდება, ეს არ ედარდება.

შემაშფოთებელია მწვრთნელთა ერთი ნაწილის წინასწარი გარიგებები ჯერ კიდევ ახალბედა სპორტსმენთან. მოზარდს ჰპირდებიან იმ შეღავათებს, რაც მან შეიძლება სრულიადაც ვერ დაიმსახუროს. შარშან ასეთი შეღავათი გაუწიეს 16 მოზარდ მოფარიკავეს, წელს კი იმათგან 14 აღარ მეცადინეობს ამ სახეობაში. ზოგს, ცხადია, მიზეზიც აქვს, მაგრამ განა 14 მაინც ბევრი არ არის?

დღეს სხვა დროა, სიყალბეს და მოჩვენებითობას, მით უმეტეს აღზრდაში, ადამიანის ფორმირების პროცესში, ველარ შევურიგდებით. ნაკლოვანებებზე ხმამაღლა უნდა ვილაპარაკოთ.

არის კიდევ ერთი საკითხი — უკუპროცესი. დღევანდელი სპორტსმენი ხვალ ისეთივე მწვრთნელი იქნება, როგორიც თვითონ მას ჰყავდა. ასეთია მაგალითის ძალა. ამ საკითხებს დაფიქრება სჭირდება. რაც უფრო ადრე მივიღებთ რაღაც ზომებს, მით უკეთ ესი.

წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პლენუმი

— საქართველოში შესანიშნავი პირობებია წყალსათხილამურო სპორტის განვითარებისთვის. ალბათ, სწორედ აქ უნდა შეიქმნას საკავშირო სასწავლო-საწვრთნელი ბაზა, რადგან, ფაქტიურად, თქვენს რესპუბლიკაში მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ვარჯიში სპორტის ამ სახეობაში. საქართველოს სპორტსმენებმა კი საკავშირო სარბიელზე მხოლოდ პირველი ადგილისთვის უნდა იბრძოლონ, — თქვა გუშინ თბილისში გამართულ წყალსათხილამურო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმის გაფართოებულ სხდომაზე ამ სახეობის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა, აკადემიკოსმა ვ. აფანასიევმა.

პლენუმმა განიხილა ჩვენს რესპუბლიკაში წყალსათხილამურო სპორტის განვითარების, ამ სახეობის მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცების საკითხები. ინფორმაციით გამოვიდა წყალსათხილამურო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე შ. პაპიძე.

პლენუმზე ინფორმაციით წარსდგნენ სპორტული და ტურისტული ორგანიზაციების, ცალკეული უწყებების, შესაბამისი სპორტული ბაზების პასუხისმგებელი მუშაკები.

პლენუმმა გადაახალისა ფედერაციის წევრთა შემადგენლობა.



მსოფლიო უნივერსიადაზე

უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ სახეობაში შეჯიბრება უკვე დამთავრდა, ზოგი კი ახლა იღებს სტარტს. ასპარეზობაში ჩაებნენ მძლეოსნები, თუმცა რაიმე განსაკუთრებული აქ ჯერ არ მომხდარა.

ხმლით **მოფარიკავეთა გუნდურ** შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს. მათ შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირულ ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები აკაკი მახარაძე და ირაკლი გვარამია (ორივეს მწვრთნელია გ. მახარაძე).

გრძელდება **ჩოგბურთელთა ტურნირი,** რომელშიც წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები. ლეილა მესხმა რამდენიმე შეხვედრა მოიგო და დამჯერებლად მიიწევს წინ.

საერთო-გუნდურ ჩათვლაში აშშ-ს წარმომადგენლებმა მესამე ადგილზე გადმოინაცვლეს. ლიდერობას კი საბჭოთა დელეგაცია ინარჩუნებს. რუმინეთის სპორტსმენები მეორე ადგილზე არიან.

სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადამდე საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა მეტოქედ, არც თუ უსაფუძვლოდ, რუმინეთის ნაკრები მიაჩნდათ. და მართლაც, რუმინელმა სპორტსმენებმა ბოლო წლებში საერთაშორისო სარბიელზე მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს. ზაგრებში ამ ორი უძლიერესი კოლექტივის პაექრობას მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, მოლოდინი არ გამართლდა.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ საბჭოთა გოგონებმა აბსოლუტური ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში ოთხი პირველი ადგილი დაკარგეს. ეს ოთხი ტურნირი ერთმანეთს ემიჯნებოდა. ეს ოთხი ტურნირი ერთმანეთს ემიჯნებოდა. ეს ოთხი ტურნირი ერთმანეთს ემიჯნებოდა.

იხ. მე.4 გვ.

პირველი მატჩი ამერიკელებთან

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში საქართველოსა და აშშ-ს ჭაბუკთა გუნდებს შორის.

მეტოქეები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: აშშ — სილვერსტეინი, კიდი, მაკ-კალანი, რასპეილი, მაკდონალდი. საქართველო — უსტიაშვილი, შენგელია, ქართველიშვილი, ორმოცაძე, ცხვედიანი. მასპინძლებს უპირატესობა ჰქონდათ სიმაღლეში, მაგრამ როგორც თამაშის მსვლელობამ დაგვანახა, ისინი არც სხვა კომპონენტებში ჩამორჩებოდნენ მეტოქეს.

საქართველოს ნაკრებმა თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და დაწინაურდა. სტუმრები სულ მდევრის როლში იყვნენ, თუმცა ჩვენებისთვის დიდი ანგარიშით წინ გასვლის საშუალება არ მიუციათ. მხოლოდ ტაიმის ბოლოს ზუსტი სამქულიანი სროლებით მასპინძლებმა 9 ქულით დაწინაურება მოახერხეს — 48:39. მეორე ტაიმშიც წინ ქართველი კალათბურთელები იყვნენ, მაგრამ ამერიკელები ფეხდაფეხ მისდევენ მათ. ისინი ძალზე ხშირად ცვლიან მოთამაშეებს და ამიტომ უფრო მეტი ფიზიკური ძალა შემორჩათ. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მაკდონალდის ზუსტი ტყორცნის შემდეგ ქულათა სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა — 82:81. მაგრამ მატჩის უკანასკნელი წუთები ჩვენებმა უფრო ძლიერად ჩაატარეს და ლამაზი გამარჯვება მოიპოვეს — 93:85. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ ღლონტი (24 ქულა), ცხვედიანი (27) და კიდი (16).

მერაბ კალანდაძე.

ეს ... ...



ნონა გაფრინდაშვილი

ნანა იოსელიანი

ქეთევან არახამია

ამ ზაფხულს ფიდე-მ დიდი პატივი დასდო იუგოსლავიელ მოჭადრაკეებს და ჭადრაკის მოყვარულთ. ხუმრობა ხომ არ არის, ვაუთა სამი საზონათშორისო ტურნირიდან ორი (ერთ-ერთი ახლახან დამთავრდა)იუგოსლავიის ქალაქებში დაიგეგმა და ქალთა ორივე საზონათშორისო ტურნირსაც იუგოსლავია უმასპინძლებს.

ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულთათვის განსაკუთრებით საინტერესო ამ ოთხი ტურნირიდან ორი იქნება, ის შეჯიბრებები, რომლებშიც ქართველი ქალები მიიღებენ მონაწილეობას. დღეს სმედერევსკა-პალანკაში, ზეგ კი ტუზლაში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის ბრძოლაში სხვებთან ერთად ჩაებმებიან მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, დიდოსტატი ნანა იოსელიანი და საერთაშორისო ოსტატი ქეთევან არახამია (ქეთევანს ფიდე-ს უახლოეს კონგრესზე დიდოსტატის წოდებას მიანიჭებენ).

თქმა არ უნდა, როგორც სმედერევსკა-პალანკას (გაფრინდაშვილი), ისე ტუზლას (იოსელიანი, არახამია) ტურნირებში შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდება პრეტენდენტთა სამ-სამი საგზურისთვის. ეს ექვსეული გაისად შეუერთდება ელენა ახმილოვსკაიასა და ნანა ალექსანდრიას (როგორც იცით, ახმილოვსკაია მსოფლიო პირველობის უკანასკნელი მატჩის მონაწილეა, ალექსანდრია კი პრეტენდენტთა უკანასკნელი მატჩ-ტურნირის მეორე პრიზიორი) და მატჩ-ტურნირში განაგრძობს ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის მეტოქის ვინაობის გარკვევ.

იხ. მე.2 გვ.

... ...

ელვა-ინფორმაცია

უნგრეთში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. 14 შესაძლებლიდან 8 ქულით I ადგილი დაიკავა თბილისელმა დიდოსტატმა ელენა ახმილოვსკაიამ. II-III ადგილები გაიყო გარდაბანელმა ოსტატმა ქეთევან ყახიანმა. მან 7,5 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალიც შეასრულა. ახლა ყახიანი პირდაპირ ირკუტსკში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲒᲐᲠᲓᲔᲡ

სამოყვარულო და სპორტული თევზაობის მიმდევრები ჩვენს ქვეყანაში მრავლად არიან. თევზაობის (დღეს იგი სპორტის სახეობად შემოგვრჩა) საქართველოში ძველთაგანვე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, დედაქალაქში, სადაც მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ამ საქმიან და ხმაურიან ქალაქში რამდენ მეთევზეს იხილავთ მტკვრის სანაპიროზე და თბილისის ზღვაზე. დგანან და ელიან. თუ ვინმე ჰკითხავს, არ გეზარებათ ამდენ ხანს დგომა და ლოდინი, მშვიდად მიუგებენ: ღმერთი მეთევზეს ანკესით ხელში გატარებულ დროს არ უთვლისო. თუმცა ჩვენს მეთევზეებს მარტო ცნობისმოყვარენი როდი აწუხებენ. დასამალი არ არის, რომ სპორტის ამ სახეობას ყურადღება მოვაკელით და ამიტომ ენთუზიასტ მეთევზეებს ჩვენში არ ულხინთ. გაზეთები „სოვეტსკი სპორტი“ და „ტრუდი“, ჟურნალები „რიბოლოვი“ და „რიბოვოდსტვო“ დიდ ადგილს უთმობენ სამოყვარულო და სპორტული თევზაობის საჭირბოროტო საკითხებს, ქართველ მეთევზეებზე, საქართველოს მდინარეებისა და ტბების ფაუნაზე, თევზაობის თავისებურებებზე კი საკავშირო პრესაში იშვიათად იწერება. ვფიქრობთ, თქვენს ყურადღებას მიიქცევს ქართველ მეთევზეთა ეს წერილი, რომელიც ამას წინათ, მებადურის დღესთან დაკავშირებით გამოგვიგზავნეს.

მოდით, ვითანამშრომლოთ!

მოგმართავთ სამტრედიაში მცხოვრები მოყვარული მეთევზეების სახელით. გვაინტერესებს, რა მოსაზრებითაა აკრძალული ერთკავიანი ანკესით თევზაობა ჩვენთვის ხელმისაწვდომ რეგიონში არსებულ მდინარეებზე (გუბისწყალი, ცხენისწყალი, ნოღელა, აბაშისწყალი, ტეხურა, ხობისწყალი) ან თუ აკრძალული არ არის, რა დებულებით ხელმძღვანელობენ ჩვენს წინაადმდეგ ამხედრებული ეგერები. ჩვენთან ბრძოლა ადვილია. მეთევზე საათობით დგას შერჩეულ ადგილას, როცა გინდა მიდი და დაადაკავე, დაჯარიმე, შეაშინე, ანკესი ჩამოართვი (აი, მეთოდები, რითაც ჩვენ გვებრძვიან). არავინ გეკითხება ხარ თუ არა მეთევზეთა საზოგადოების წევრი, იხდი თუ არა საწევროს, პირველად (გამოხვედი სათევზაოდ თუ გამოცდილი მეთევზე ხარ.

ჩვენს რეგიონში ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა, და არც კეთდება შავი და აზოვის ზღვის აუზების დაცვის თაობაზე მიღებული დადგენილების შესასრულებლად. მდინარეები ბინძურდება საწარმო დაწესებულებების, ქარხნებისა და ფაბრიკების, ფერმების გაუსუფთავებელი გამდინარე წყლებით, წარმოების ნარჩენებით. პარპაშობენ ბრაკონიერები შეიარაღებულნი ასაფეთქებელი და მომწამვლელი ნივთიერებებით, ათასნაირი ბადეებით... სწორედ მათ უნდა ებრძოდნენ ეგერები ჩვენი, მოყვარული მეთევზეების დახმარებით, მაგრამ ჩვენთან საქმიან შეხვედრას ისინი რატომღაც გაურბიან. არადა, მოყვარულ მეთევზეთა მდინარესთან გამოჩენა ბრაკონიერს ხელს უშლის თავის ავ საქმეში.

ერთკავიანი ანკესით მეთევზეს არ შეუძლია ზიანი მიაყენოს მდინარეებისა და ტბების ფაუნას, თუნდაც ქვირითობის პერიოდში. ამაში დასარწმუნებლად გთავაზობთ ექსპერიმენტს: შეარჩიეთ რამდენიმე გაწაფული მეთევზე და ნახეთ ერთი დღის განმავლობაში რამდენი თევზის დაჭერას შეძლებენ ისინი ჩვენს მდინარეებზე, შეაფასეთ „ზარალი“ და დაუპირისპირეთ იგი იმ სარგებლობას, რაც ჩვენს საქმიანობას შეუძლია მოუტანოს მდინარეების დაცვის საქმეს. აღარაფერს ვამბობთ თევზაობის მნიშვნელობაზე ადამიანისთვის, როგორც გამაჯანსაღებელ საშუალებაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოყვარული მეთევზეები საზოგადოებრივი საქმეებით დაკავებული მოქალაქეები არიან და თევზაობას ისინი კვირაში 2-3 საათს თუ უთმობენ.

ცნობილია, რომ რუსეთისა და უკრაინის მდინარეებზე არათუ აკრძალულია ანკესით თევზაობა, არამედ მდინარეებზე სპეციალური ხიდურები და სადგომებია აგებული მეთევზეთა ხელშესაწყობად. იმაზე კი, რასაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში აკეთებენ სპორტული და მოყვარული თევზაობის განვითარებისათვის, ქართველმა მეთევზეებმა შეიძლება მხოლოდ იოცნებონ. რაღა შორს წავიდეთ, მდინარე მტკვარზე არც თბილისის ტერიტორიაზე უშლიან ხელს ანკესით მოთევზაველებს. ერთი სიტყვით, ამ საქმეში მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ამ მიზნით გთავაზობთ ჩვენს წინადადებებს:

1. დამყარდეს კონტაქტი მოყვარულ მეთევზეთა და წესრიგის დამცველ ორგანოებს შორის, გამოინახოს მათი ერთობლივი მუშაობის ფორმები ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;

2. თევზაობის ნება ჰქონდეთ მხოლოდ მეთევზეთა საზოგადოების წევრებს;

3. ორ-სამჯერ (ან მეტად) გადიდდეს წლიური საწევრო შესატანი და იგი მოხმარდეს მდინარეებისა და ტბების ფაუნის დაცვას, ყურადღება მიექცეს მოყვარული და სპორტული თევზაობის განვითარებას რესპუბლიკაში.

გ. გეგეშიძე (რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი), თ. ჩომახიძე, ჯ. თევზაძე, ტ. თევზაძე, გ. ალადაშვილი (ექიმები), გ. დოლიძე (ეკონომისტი), ზ. კოხრეიძე (ინჟინერი), ე. გალანჩივაძე, მ. გალანჩივაძე (მუშები), ჯ. გოგიშვილი, ზ. შათირიშვილი, ს. ჩომახიძე (საზკვების თანამშრომლები), თ. ერისთავი (სამუშაოთა მწარმოებელი), თ. მელქაძე (მხატვარი), ო. ჭახრაკია (ზეინკალი), გ. პაპავა (რაიონის წყალმაშველთა საზოგადოების თავმჯდომარე).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲦᲬᲒᲐ

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ

„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ“ ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპორტსკოლა რესპუბლიკაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, მაგრამ ამ სპორტსკოლის მოსწავლეთა ნახევარმა გამოცდები ე. წ. სახელმწიფო მიღებაზე სამაანზეც ვერ ჩააბარა.

სახელმწიფო მიღებაზე 29 მოცურავე უნდა გამოსულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მხოლოდ ათი გავიდა, აქედან ნორმატივები მხოლოდ ხუთმა ჩააბარა. სპორტსმენთა საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება კრიტიკას ვერ უძლებდა. ისინი ცუდად ფლობდნენ ცურვის ტექნიკას. არადა, ერთი მაღალკვალიფიციური სპორტსმენის მომზადება სახელმწიფოს 2275 მანეთი უჯდება (აუზის იჯარისათვის განკუთვნილი თანხა არ იგულისხმება).

ყოველივე ამის შესახებ „ლელო“ თავის დროზე იუწყებოდა, ახლა კი ამ საკითხებზე იმსჯელა საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიამ და პროფკავშირული ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა. ითქვა, რომ ამ სპორტსკოლაში დაბალი იყო სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხი და, შესაბამისად, სპორტსმენთა მომზადების დონე. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელობა და დირექცია სისტემატურად არ ამოწმებდა სპორტსკოლის მუშაობას.

სახელმწიფო მიღებაზე გამოვლინდა ის არსებითი ხასიათის ხარვეზები, რაც სპორტსახკომის საწყლოსნო სახეობათა განყოფილების მუშაობაში შეიმჩნეოდა.

სახელმწიფო მიღების მასალებმა გვიჩვენა, რომ დღეს „განთიადის“ ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპორტსკოლა ვერ ამართლებს ოლიმპიური რეზერვის სკოლის სტატუსს, რომ სპორტული სრულყოფის ჯგუფები ფორმალურად კომპლექტდება.

აქედან გამომდინარე კოლეგიამ გადაწყვიტა სსრ კავშირის სპორტსახკომის წინაშე დასვას საკითხი „განთიადის“ სპორტსკოლისათვის ოლიმპიური რეზერვის სკოლის სტატუსის ჩამორთმევის შესახებ.

„განთიადის“ ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი ნ. ამილახვარი და სასწავლო ნაწილის გამგე ემძინარიშვილი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გატარებულია სხვა ღონისძიებებიც.

ᲒᲖᲐ ᲓᲐᲕᲣᲚᲝᲪᲝᲗ!

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ჩვენ უკვე გაგაცანით ორივე ტურნირის შემადგენლობა, ამიტომ საინტერესოა, თუ როგორ მოემზადნენ ჩვენი მოჭადრაკეები ამ პაექრობისთვის.

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲣᲒᲘᲚᲐᲕᲐ, საერთაშორისო ოსტატი, ნონა გაფრინდაშვილის მწვრთნელი: წინასწარ ძნელია რაიმეს თქმა, მით უფრო ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირების წინ. თუ ნონას ბოლოდროინდელ წარმატებებს მივიღებთ მხედველობაში, განსაკუთრებით იერის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებას, იგი კარგად უნდა იყოს მომზადებული. საბჭოთა მოჭადრაკეების ნონა გაფრინდაშვილის, ირინა ლევიტინას, მარტა ლიტინსკაიას და ზოია ლელჩუკის გარდა სამეულში გასვლის შესაძლებლობა აქვთ უნგრელ ილდიკო მადლსა და შვეიცარიელ ტატიანა ლემაჩკოს.

ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ: ტურნირისთვის წყალტუბოში ვემზადებოდი ჩემს მწვრთნელ კრასნოდარელ საერთაშორისო დიდოსტატ ვიტალი ცეშკოვსკისთან ერთად. ძალიან ძლიერი მოჭადრაკეები იკრიბებიან ტუზლაში, სულ ცოტა, რვაცხრა მაინც იბრძოლებს გამარჯვებისთვის, ან თუნდაც პირველ სამეულში გასასვლელად. ესენი არიან ქეთევან არაზამია, სვეტლანა მატვეევა, ლიდია სემეონოვა, გულნარა სახატოვა, შვედი პია კრამლინგი, პოლონელი აგნეშკა ბრუსტმანი, ჩინელი ლუ ში ლანი, უნგრელი მარია ივანკა, იუგოსლავიელი სიუზან მაქსიმოვიჩი... — წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლია, რომ თავდაუზოგავად ვიბრძოლებ გამარჯვებისთვის.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲐᲠᲐᲖᲐᲛᲘᲐ: ეს ჩემი პირველი საზონთშორისო ტურნირია და, ბუნებრივია, ძალიან ვღელავ. ჩვენი ჯგუფი ძალიან ახალგაზრდულია და ძალიან ძლიერიც, ამიტომ ყველა შემართებით იბრძოლებს. პირველი ადგილის უდავო კანდიდატი ნანა იოსელიანი იქნება, თუმცა გამარჯვების პრეტენზია ბევრს ექნება. მე ოჩამჩირეში ვემზადებოდი ჩემი მწვრთნელის, ლენინგრადელი საერთაშორისო ოსტატის იგორ პოლოვოდინის დახმარებით. როგორ მოვემზადე და როგორ სპორტულ ფორმაში ვარ, ამას ტურნირი გვიჩვენებს.

ᲐᲮᲐᲛ ᲐᲮᲔ, ᲒᲖᲐ ᲓᲐᲕᲣᲚᲝᲪᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲔᲑᲘ ᲩᲚᲔᲑᲘ!

ᲐᲛᲐᲡ წინათ თბილისში გამართულ ნორჩ რადიოსპორტსმენთა მე-20 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, ცხინვალის, ბათუმის, წულუკიძის, ტყიბულის 7 გუნდი და 46 რადიოსპორტსმენი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასს დაეუფლა თბილისის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის ნაკრები, მეორე ადგილზეა ასევე თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდი, მესამეზე არიან წულუკიძის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის წარმომადგენლები. გამარჯვებულ კოლექტივს და პრიზიორებს გადაეცათ სპეციალური პრიზები.

ს. ვართანესოვის ფოტო.

ᲑᲔᲘᲡᲑᲝᲚᲘ, ᲛᲔ-5 ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

ᲞᲘᲩᲔᲠᲘ

კონი მაკი, მრავალი წლის მანძილზე „ფილადელფია ათლეტიკის“ მწვრთნელი ამბობს, რომ გუნდის წარმატებაში პიჩერის წვლილი 80 პროცენტს შეადგენს. სპორტის მიმომხილველები უფრო თავშეკავებულნი არიან—ამბობენ 75 პროცენტიაო, მაგრამ ორივე საგულისხმო ციფრია.

ᲞᲘᲩᲔᲠᲘ, ანუ მტყორცნელი, ცენტრალური ფიგურაა თავდაცვის გუნდში არა მარტო მასზე დაკისრებული როლის მიხედვით, არამედ იმ ადგილის მიხედვითაც, რომელიც მას მინდორზე უკავია. ძირითადი კვადრატის შუაგულში (ამ კვადრატს გულშემატკივრებმა „ბრილიანტი“ დაარქვეს) მიწაზე მაგრად არის დაჭედებული რეზინის თამასა. ეს არის პიჩერის „საშლელი“. ამ ერთი ბეწო მოედანზე (ერთდროულად ორივე ფეხით რომ ვერ დადგები) პიჩერი ასრულებს თავის საკვირველ, პლასტიკურ ცეკვას. ო, არა, აქ შეცდომა არ გეგონოთ. პიჩერი არა მარტო ხელით ესვრის ბურთს თავის პარტნიორს, ანუ ქეჩერს (დამჭერი), იგი ცეკვავს! ჩვენ შევეცადეთ ნახატით გადმოგვეცა მისი მოძრაობები. აი, პიჩერი ბურთს ხელში მალავს (იმის მიხედვით, თუ როგორ უჭერს ხელს, შეგიძლიათ მიხვდეთ, როგორ აპირებს დარტყმას — მაღლა, დაბლა, თუ ჩახვეულად. მერე ხელებს მკერდთან მიიტანს, ფეხს გამართავს, მოიქნევს... დააკვირდით, რა ზუსტი გაანგარიშებაა საჭირო: თავდასხმის მოთამაშეები (ბეთერი, ანუ მომგერიებელი) შეიძლება სხვადასხვა სიმაღლისა იყვნენ. შესაბამისად სხვადასხვაა დარტყმის ზონაც (ნახ. № 7). მოთამაშეს მართლაც რომ არწივის თვალი, ელვისებური რეაქცია, ბალერინის გრაცია და უდიდესი ძალა უნდა ჰქონდეს, თუ მეტოქემ ვერ შეძლო პიჩერის მიერ დარტყმული ბურთის მოგერიება, ქეჩერმა კი შეძლო მისი ჰაერში დაჭერა, ამას მოსდევს ბეთერის სასწრაფოდ გაძევება მინდვრიდან. სამი გაძევების შემდეგ გუნდი დაცვიდან თავდასხმაში გადადის. სულ სამი ცდაა საჭირო იმისათვის, რომ კარგმა პიჩერმა ეს სიამოვნება განიცადოს, პიჩერს შეუძლია ბურთი ესროლოს არა მარტო ქეჩერს, ძირითად ბაზაში („სახლი“), არამედ სხვა ბაზებსაც. ხომ გახსოვთ წესი, რომლის მიხედვითაც თავდასხმის მოთამაშე მინდორს ტოვებს, როცა ბურთს ბაზაში უფრო ადრე მიიტანენ, ვიდრე ის მოასწრებს იქამდე გარბენას. სართალია, ბაზაში პიჩერი ბურთს უკვე იმ ძალით არ ურტყამს, რა ძალითაც „სახლისაკენ“. ქეჩერი იმიტომაც არის ჩამჯდარი „აბჯარში“, იმიტომაც უკეთია ნიღაბი, რომ კარგი პიჩერის ნატყორცნი ბურთი საათში 150 კილომეტრი სისწრაფით მიჰქრის და საშინელი ძალა აქვს. ბეისბოლის გუნდში, როგორც წესი, 20-25 მოთამაშეა (კლუბის ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით). მათგან ყველას შეუძლია იყოს მინდვრის მოთამაშე, ბეიზმენი, ბეთერი. ბევრს შეუძლია იყოს ქეჩერი, მაგრამ პიჩერად დიდი-დიდი 5-6 კაცი გამოდგეს.

გაცნობებთ, რომ მკითხველთა გუნდში ჯერჯერობით არის ვაკანტური ადგილები.

ᲙᲔᲙᲘ ᲑᲝᲯᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა 50-ე საკავშირო ჩემპიონატის XVII ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურიამ“ მიიღო მინსკის „დინამო“. თამაში დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით —2:1.

ტურის სხვა მატჩები:

„დინამო“ კ. — „შახტიორი“ 0:0
„მეტალისტი“ — „დინამო“ მ. 1:1
ცსკა — „ტორპედო“ 1:1
„არარატი“ — „ზენიტი“ 2:1
„ნეფთჩი“ — „ქაირათი“ 6:0

I ლიგა

13 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXII ტურის მატჩები.

საქართველოს გუნდები ამ დღეს სტუმრად გამოდიოდნენ. ქუთაისის ტორპედოელებმა რიგაში ფრედ დაამთავრეს მატჩი „დაუგავასთან“ — 1:1, ხოლო ბათუმის „დინამომ“ იაროსლავლში წააგო ადგილობრივ „შინიკთან“ — 0:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 2:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:1, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — ასკ (დონის როსტოვი) 0:1.

21 ივლისამდე შედგება I ლიგის გუნდების რამდენიმე შეხვედრა, აგრეთვე, სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები, 28 ივლისს კი დაიწყება მეორე წრე. ქუთაისის „ტორპედო“ ამ დღეს მიიღებს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“, ხოლო ბათუმის „დინამო“ — ტიუმენის „გეოლოგს“.

დამნაშავენი დასაჯეს

ჩვენს ფეხბურთში კვლავ მოხდა დისციპლინის უხეში დარღვევა, ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა ნ. თვარაძემ და მ. შამათავამ 25 ივნისს მოსკოვში პრ დაიცვეს სპორტული რეჟიმი, კერძოდ, დაიგვიანეს საღამოს შემოწმებაზე და სასტუმროში მხოლოდ გვიან ღამით გამოცხადდნენ.

გარდა ამისა, მოსკოვის „კრასნაია პრესნიას“ და ქუთაისის „ტორპედოს“ სათასო მატჩის მსვლელობის დროს შეცვალეს ნ. თვარაძე, მან კი სახალხოდ უტიფარი სიტყვებით მიმართა გუნდის ხელმძღვანელობას. ამავე მატჩში ტრამმა მიიღო ერთ-ერთმა ქუთაისელმა ფეხბურთელმა, რომელიც უნდა შეეცვალა მ. შამათავას, ის კი მზად არ იყო მინდორზე გამოსასვლელად.

ამ დარღვევებზე იმსჯელა ქუთაისის „ტორპედოს“ საერთო კრებამ, რომელმაც გადაწყვიტა ნ. თვარაძე და მ. შამათავა გაირიცხონ კოლექტივიდან და ორივეს დისკვალიფიკაცია მისცა თითო წლით.

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის საერთო კრების გადაწყვეტილება და დაეთანხმა მას.

პროფკავშირების თასზე

II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა პროფკავშირების სპორტული ზოგადოებათა საკავშირო თასის გათამაშებაში გაიმართა IV ტურის მატჩები: „დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 5:3, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დილა“ (გორი) 0:0, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 6:2.

II ლიგა — ოსტატ ფეხბურთელთა რეზერვი

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში ამ დღეებში გაიმართა რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელების, II ლიგის IX ზონის საქართველოს კოლექტივების მწვრთნელებისა და გუნდების უფროსების, სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის მონაწილეებმა თავიდანვე სწორი გეზი აიღეს. მათ ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს II ლიგის გუნდები ჩვენი ფეხბურთის ის რგოლია, რომელმაც პირველი და უმაღლესი ლიგებისთვის უნდა აღზარდოს ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელები. მაღალი ოსტატობის კვალიფიკაცია მისცენ მათ და რეკომენდაცია გაუწიონ ზემდგომ ლიგებში რესპუბლიკის ღირსების დასაცავად. II ლიგის ამა თუ იმ გუნდს ხშირ შემთხვევაში საკუთრივ სჭირდება პერსპექტიული ფეხბურთელები, მაგრამ როცა ამას ქართული ფეხბურთის საერთო ინტერესები მოითხოვს, ყოველგვარი დაბრკოლება და შეყოვნება ყოველად დაუშვებელია, ტალანტებს შეუფერხებლად უნდა დავუღოცოთ გზა დიდ ფეხბურთში.

ამის შესახებ ილაპარაკეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ხურცილავამ (თბილისის „შევარდენი“-სპი), სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. ნორაკიძემ (სოხუმის „დინამო“), საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ჯ. ჯალაღანიამ (სამტრედიის „ლოკომოტივი“) და სხვებმა, მაგრამ, ამასთან მწვრთნელებმა ისიც აღნიშნეს, რომ თუ ოსტატთა II ლიგის ფეხბურთელს არ შეიძლება რაიმე შეფერხება ჰქონდეს, როცა მას უფრო მაღალ ლიგაში სათამაშოდ მიიწვევენ, ასეთივე პრინციპით უნდა ხდებოდეს II ლიგის დაკომპლექტება საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მოთამაშეთა რიცხვიდან, ეს კი ყოველთვის დროულად არ ხდება. რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდების მწვრთნელები, რაიონებისა და ქალაქების სპორტული მესვეურნი ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი საჭიროებისთვის დაიტოვონ მზარდი ფეხბურთელი, ყოველთვის არ უწევენ ჯეროვან ანგარიშს II ლიგის გუნდების ხელმძღვანელებს, ეს კი საგრძნობლად ვნებს ჩვენში მაღალი კლასის ფეხბურთელთა თაობიმდევრული, შეუფერხებელი სპორტული ზრდის საქმეს.

აღინიშნა ისიც, რომ უშუალოდ სეზონის მსვლელობაში II ლიგაში აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს ლიდერი, წამყვანი კოლექტივი, რომელზეც საჭიროა აქცენტი გაკეთდეს მისი შემდგომი დაწინაურებისა და წინსვლისთვის. ლიდერები, როგორც წესი, ტონს აძლევენ დანარჩენებს, მათი თამაში მისაბაძი და სამაგალითოა სხვათათვის, ამიტომაც ლიდერებს გარკვეული ხელშეწყობა ესაჭიროებათ, თუნდაც, რესპუბლიკის პირველობისა და მოზარდთა კოლექტივებიდან ფეხბურთელთა დაკომპლექტების თვალსაზრისით.

თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ II ლიგაში საგრძნობლად გაუმჯობესდა მსაჯობა, მაყურებელი გარკვეულ ინტერესს იჩენს მატჩებისადმი, მაგრამ ზოგიერთ გუნდს ჯერ კიდევ არა აქვს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისთვის აუცილებელი ნორმალური პირობები (მაგალითად, გორის „დილა“). საჭიროა რესპუბლიკური საფეხბურთო ლაბორატორიის შექმნა, საიც მაღალ რეზერვად დაიჭერდა რესპუბლიკის გუნდებისთვის საჭირო საწვრთნელ-მეთოდიურ პრობლემებს, ლიგის გუნდებში მეტი რაოდენობით და თამამად უნდა მივიწვიოთ ახალგაზრდა ფეხბურთელები, გაბედულად ვანდოთ ადგილი ოსტატთა ასპარეზზე.

წლევანდელი გათამაშების პირველი წრის შემდეგ II ლიგიდან უმაღლეს ლიგაში მიწვეული იქნა 5, ხოლო I ლიგაში — 3 ფეხბურთელი. ბათუმის „დინამოში“ გადაიყვანეს სამტრედიის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები ჯაჭარავა და მჭედლიშვილი, ხოლო თბილისის „შევარდენი“-სპი-დან — ქობელაშვილი. ლანჩხუთის „გურიაში“ გადაიყვანეს ჯოხაძე და ბაკურაძე თბილისის „შევარდენი“-სპიდან, აგრეთვე, მეკარე ქანთარია სამტრედიის „ლოკომოტივიდან“, თბილისის „დინამოში“ გამოდიან მეკარე ჭანტურია რუსთავის „მეტალურგიდან“ და თავდამსხმელი ყვანია თბილისის „შევარდენი“ სპიდან.

თათბირმა მრავალი საინტერესო პრობლემა წამოჭრა, მათ გადასაჭრელად [illegible] ქმედითი, [illegible] ლური ღონისძიებანი.

„ტყავის ბურთი“ ლანჩხუთში

გრძელდება საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზის რესპუბლიკური ფინალური ტურნირი. ასპარეზობა უკვე დაამთავრეს საშუალო ასაკის ფეხბურთელებმა (1974-1975 წლებში დაბადებულნი). აქ პირველი ადგილი დაიკავა ლანჩხუთის გუნდმა, რომელმაც ფინალში სძლია თბილისელებს (1:0) და უფლება მოიპოვა იასპარეზოს საკავშირო ტურნირის ფინალში, რომელიც აგვისტოში ფერგანაში გაიმართება.

11 ივლისს გათამაშებაში ჩაებნენ ძოზარდთა ასაკის ფეხბურთელები (1972-1973 წლებში დაბადებულნი). პირველ ტურში ცხინვალის გუნდმა სძლია ზუგდიდელებს (2:0), თბილისმა — თეთრი წყაროს კოლექტივს (5:2), მაიაკოვსკიმ — ბათუმს (2:0). ლანჩხუთმა — ხაშურს (3:1). ფრედ დამთავრდა მახარაძე-გურჯაანისა (3:3) და გეგეჭკორი-ახმეტის (1:1) შეხვედრები.

12 ივლისს გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები: სოხუმი-მახარაძე 1:0, ცხინვალი-ახმეტა 2:1, ჭიათურა-მაიაკოვსკი 3:1, ლანჩხუთი-თეთრი წყაროო 6:2, ზუგდიდი-გეგეჭკორი 3:2, თბილისი-ხაშური 5:1.

„სიჯაბუკის“ კარგი პერსპექტივები

კაუნასი. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ). აქ მიმდინარეობს „სიჯაბუკის“ თასის საკავშირო ნახევარფინალური გათამაშება, რომელშიც მონაწილეობენ ლიტვა, ლენინგრადის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდავეთისა და ტაჯიკეთის გუნდები.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოდის საქართველოს ნაკრები (უფროსი მწვრთნელი გ. გვანცელაძე, მწვრთნელები — ვ. ნადირაძე, ა. ეამაკიძე).

ჩვენმა გუნდმა პირველ ტურში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ლიტვის ფეხბურთელები. შემდეგ საქართველოს ფეხბურთელებმა ფრედ ითამაშეს ლენინგრადელებთან — 0:0, მერე კი მოუგეს მოლდავეთისა (3:0) და ტაჯიკეთის (5:0) გუნდებს.

კაუნასის ნახევარფინალურ ტურნირში საქართველოს ნაკრები ამჟამად ლიდერობს 7 ქულით, ლიტველებს 6 ქულა აქვთ, ლენინგრადელებს — 5.

დღეს ტურნირის გადამწყვეტი მატჩებია: ერთმანეთს შეხვდებიან საქართველო — ბელორუსია, ლიტვა—მოლდავეთი, ლენინგრადი — ტაჯიკეთი. საქართველოს ნაკრებს, „სიჯაბუკის“ თასის ფინალში გასასვლელად ფრეც ყოფნის. არის ვარიანტი ჩვენი გუნდი რომ ფინალში ვერ გავიდეს. ეს მაშინ, თუ წავაგებთ ბელორუსის გუნდთან, იგი კი ვერც ერთ ვარიანტში ვერ ხვდება ფინალში, ხოლო ლენინგრადელებმა დიდი ანგარიშით 7:0 დაამარცხეს ტაჯიკეთის ნაკრები და გაიმარჯვეს ლიტველებმაც.

„ჰელსინკის თასი“

ფინეთის დედაქალაქში დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა ტრადიციული ტურნირი „ჰელსინკის თასზე“. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 ქვეყნის 518 გუნდი, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გოგონებიც გამოდიოდნენ.

11-12 წლის ჭაბუკთა ფინალში ლენინგრადის „სმენამ“ ანგარიშით 4:1 დაამარცხა ბრაზილიის „ეოკეი“, ხოლო „ტალინის ლომებმა“ მოუგეს ფინეთის „ჰონკას“ — 3:1.

სულ ჰელსინკის 28 საფეხბურთო მინდორზე 1400 მატჩი გაიმართა. შეჯიბრებას ემსახურებოდა 100 მსაჯი.

ფეხბურთი ქოთოჭლოში

აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის სოფ. ქოთოჭლოში მოეწყო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და წითელწყაროს რაიონის „სამთაწყაროს“ შორის.

საინტერესო თამაში მოიგეს მასპინძლებმა — 2:1.

თემურ ბერიკაშვილი.

EURO 88

მენოტის დაბრუნება

მას შემდეგ, რაც სესარ ლუის მენოტიმ არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახადა (ეს კი 1978 წელს მოხდა), მას ბედი არ წყალობს. ვერც ერთ კლუბში, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მოიკიდა ფეხი. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მენოტის, როგორც არგენტინის ნაკრების უფროს მწვრთნელს, პასივში ჩაუთვალეს. ამის გამო იგი იძულებული გახდა სამუშაოდ ევროპაში გადასულიყო. არგენტინელი მწვრთნელი ევროპის ერთ-ერთმა უმდიდრესმა კლუბმა ესპანეთის „ბარსელონამ“ მიიწვია. მაგრამ ეს თანამშრომლობა ხანმოკლე გამოდგა. გუნდი, რომელშიც მენოტის თანამემამულე დიეგო მარადონა თამაშობდა, ქვეყნის ჩემპიონატში სუსტად გამოვიდა და მწვრთნელი იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ტაბილი ცხოვრება მას ამის შემდეგ არც არგენტინაში ჰქონია. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა „ბოკა ხუნიორსმა“, რომელიც მენოტიმ დიდი ზარ-ზეიმით ჩაიბარა, მთავარ მიზანს ვერ მიაღწია და კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელთან კონტრაქტი გააუქმა.

მენოტი ბედის საძებნელად ისევ ევროპას დაუბრუნდა, უფრო ზუსტად ესპანეთს და აქ მადრიდის „ატლეტიკოს“ უფროსი მწვრთნელი გახდა. არგენტინელი სპეციალისტის ავტორიტეტი მსოფლიოს საფეხბურთო წრეებში კვლავინდებურად მაღალია და ესპანელებს სჯერათ, რომ „ატლეტიკო“ სამი წლის შემდეგ ქვეყნის საუკეთესო გუნდი გახდება.



ჩემპიონატის პლაკატი და თილისმა

წლეულს შემოდგომით, დამთავრდება ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, 1988 წლის ივნისში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებში გაიმართება ამ მეტად საინტერესო შეჯიბრების ფინალური ტურნირი 8 გუნდის მონაწილეობით.

გფრ-ის ქალაქ ფრანკფურტში ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა გერმან ნიბერგერმა ამას წინათ კორესპონდენტებს წარუდგინა მომავალი შეჯიბრების პლაკატები და სახალისო თილისმა — ბაჭია ბერნი.

დპა-საკდესის ფოტო.

ბობი რობსონი და ინგლისის ლიგის ნაკრები

8 აგვისტოს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გაიმართება მეტად საინტერესო მატჩი — ინგლისის საფეხბურთო ლიგის ნაკრები შეხვდება მსოფლიოს ნაკრებს. ინგლისის ეროვნული გუნდის მწვრთნელი ბობი რობსონი ამ მატჩისათვის ლიგის ნაკრებს მოამზადებს. მან დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც გუნდის შემადგენლობაში შევლენ. აი, ისინიც: პიტერ შილტონი („საუთჰემპტონი“), ნეილ საუთჰოლი („ევერტონი“), პიტერ გოფი („ტოტენჰემ ჰოტსპური“), სტივ კლარკი („ჩელსი“), ჯონ მაკლელანდი („უოტფორდი“). ალან ჰანსენი („ლივერპული“), პოლ მაკგრათი („მანჩესტერ იუნაიტედი“), კენი სენსომი („არსენალი“), ბრაიან რობსონი („მანჩესტერ იუნაიტედი“ — გუნდის კაპიტანი), ნეილ უები („ნოტინგემ ფორესტი“), ლიამ ბრეიდი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“), კევინ შიდი („ევერტონი“), კრის უოდლი („ტოტენჰემ ჰოტსპური“), საირილ რეგისი („ქოვენთრი სიტი“), პიტერ ბერდსლი („ლივერპული“), ნორმან უაიტსაიდი („მანჩესტერ იუნაიტედი“), კლაივ ალენი („ტოტენჰემ ჰოტსპური“), ჯონ ბარნსი („ლივერპული“).

ესპანეთის „ბარსელონის“ მწვრთნელი ტერი ვენეიბლსი მატჩისათვის მსოფლიოს ნაკრებს მოამზადებს. იგი ივლისის ბოლოს დაასახელებს გუნდის წევრებს. მათგან ჯერჯერობით მხოლოდ ორი ფეხბურთელის ვინაობაა ცნობილი: ესენი არიან: ინგლისის ნაკრებისა და „ბარსელონის“ თავდამსხმელი გერი ლინეკერი და უელსის ნაკრებისა და იტალიის „იუვენტუსის“ თავდამსხმელი იენ რაში.

● სინქრონული ცურვა

ფალასანიდი ორგზის ჩემპიონია

სინქრონული ცურვის ოსტატთა გამოსვლები, ტრადიციულად, ლამაზი სანახაობით მთავრდება. ამ სანახაობას, როგორც წესი, სპორტსმენები ჯგუფური ვარჯიშების დროს წარმოგვიდგენენ. მაყურებელი იხიბლება მონაწილეთა ნატიფი ოსტატობით, რთული და წარმტაცი კომპოზიციებით და ზშირად სპორტსმენებს ტაშით აჯილდოვებს.

საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღეს კიევში ყველაზე დიდი ტაში საბჭოთა კავშირის ნაკრების გამოსვლამ დაიმსახურა, სპორტსმენებმა ამჯერად ახალი პროგრამა გვიჩვენეს, რომელიც უმთავრესად რუსული ხალხური მელოდიების მოტივებზე იყო აგებული.

ნაკრების ღირსებას იცავდნენ მოსკოველი ტ. ტიტოვა (ადრე მან სოლო გამოსვლებში აჯობა ყველას), თბილისელი ქ. ფალასანიდი და ლენინგრადელი ე. დოლჟენკო (ამ დუეტმა ერთი ოქროს მედალი წყვილთა ვარჯიშებში დაიმსახურა), აგრეთვე მოსკოველები ა. ყამალეტდინოვა, მ. ჩერნიაევა, ბროვაროველი ე. ფაშჩევსკაია და ელექტროსტალელები ვ. არტიომოვა და ი. ეუკოვა. გამარჯვებული გუნდის შედეგია — 182,5 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა მოსკოვის სპორტსმენთა ჯგუფი — 170,4 ქულა, მესამეზე — უკრაინის კოლექტივი (167,05 ქულა).

ახლა სინქრონული ცურვის ოსტატთა წინაშე უფრო რთული ამოცანები დგას. ჩვენი ნაკრები წლეულს ორ მნიშვნელოვან ტურნირში გამოვა. პირველი მათგანია ევროპის ჩემპიონატი (ჩატარდება საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში), მეორე კი მსოფლიოს თასი (მოეწყობა ქაიროში).

● ველოსპორტი

კირიჩენკო, მჭედლიშვილი, სულთანოვი

მოსკოვი. კრილატსკის ოლიმპიურ ველოტრეკზე დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი გიტში 1000 მეტრზე და სპრინტერთა საკავშირო შეჯიბრება. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია სპრინტერთა ასპარეზობის ფინალმა, რომელშიც გამოდიოდნენ სუმელი ალექსანდრე კირიჩენკო და ჩვენი ქვეყნის ექსჩემპიონი ოთარ მჭედლიშვილი.

დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა კირიჩენკომ. მჭედლიშვილს მეორე ადგილი ხვდა. მესამე ადგილზე გავიდა აშხაბადელი სპრინტერი ვლადიმერ სულთანოვი.

ამავე დღეს ჩატარდა ქალთა შეჯიბრება 500 მ. გიტში (ადგილიდან). როგორც მოსალოდნელი იყო ყველას ტალინელმა ერიკა სალუმიეემ აჯობა — 36,555.

● კიუდო

ქალები კიმონოში

მოსკოვში რომ ძიუდოისტ ქალთა პირველი საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა, მკითხველებმა უკვე იციან. ცალკეულ წონით კატეგორიებში გამარჯვებულ სპორტსმენთა სიაც დავბეჭდეთ. ისიც ცნობილია, რომ 48 კგ წონით კატეგორიაში ფინალში იბრძოდა და საბოლოოდ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა თბილისელმა ნ. ასრათაშვილმა.

ასრათაშვილი ადრე ბალახის ჰოკეის თამაშობდა, სამიოდე წლის წინათ მას ყურადღება მიაქცია მწვრთნელმა ალეკო ოქროპირიძემ და ძიუდოში დააწყებინა ვარჯიში. წვრთნამ, როგორც ხედავთ, ნაყოფი გამოიღო. ყოველ შემთხვევაში ასრათაშვილი პირველი ქალია საქართველოში, რომელმაც ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატში საპრიზო ადგილი დაიკავა.

ამ ტურნირში თავი გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებმაც, კერძოდ ი. ზღულაძემ, ქ. ჩართოლანმა (ორივე — 56 კგ) და მ. ქოჩაშვილმა (66 კგ). ზღულაძე V ადგილზე გავიდა, ჩართოლანმა VII-VIII ადგილები გაიყო, ქოჩაშვილი კი ასპარეზობას სამი წრის შემდეგ გამოეთიშა.

ამის მიუხედავად, სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელებმა ეს სამივე მოჭიდავე აღრიცხვაზე აიყვანეს.

საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში VII ადგილი დაიკავა.

● ჭადრაკი

მორიგ ნარმატებასთან ახლოს

როგორც იცით, თბილისელი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე უკვე მეორე წელია ესპანეთის მოჭადრაკე ვაუთა გუნდის მწვრთნელია. მაგრამ იგი მარტო სამწვრთნელო ფუნქციით არ კმაყოფილდება — ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში და საკმაო წარმატებითაც. ამას წინათ, სევილიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში I-II ადგილები გაიყო (სხვათა შორის, ასეთივე შედეგი აჩვენა მან ამავე ტურნირში შარშანაც). ახლა კი იგი 8 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს კოლუმბიის საერთაშორისო ტურნირში.

ნახევარი ქულა დააკლდა

დიდ წარმატებას მიაღწიეს ინგლისელმა მოჭადრაკეებმა იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში გამართულ ვაუთა საზონთაშორისო ტურნირში. ჯონათან სპილმენმაც და ნაიჯელ შორტმაც 10,5-10,5 ქულა მოაგროვეს და უნგრელ დიულა საქსთან ერთად I-III ადგილები გაიყვეს. სამწუხაროდ, პრეტენდენტთა მატჩებში მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვა მსოფლიოს ექსჩემპიონმა მიხეილ ტალმა. იგი და უნგრელი ზოლტან რიბლი ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ლიდერებს.

ბოლო, XVII ტურის პარტიები ასე დამთავრდა. მარიანოვიჩი-შორტი — 0,5:0,5, ერნსტი-ტალი — 0:1, საქსი-ზაპატა — 1:0, სპილმენი-როდრიგესი — 0,5:0,5, სმისლოვი-ჰამედი — 0,5:0,5 პოპოვიჩისა და ჩერნინის პარტია გადაიდო.

XVI ტურის შედეგები კი ასეთია: ჰამდი-საქსი — 0:1 ჩერნინი-მარიანოვიჩი — 1:0, ალბურტი-სპილმენი — 0,5:0,5, როდრიგესი-სმისლოვი — 0,5:0,5, რიბლი-პოპოვიჩი — 0,5:0,5, შორტი-პრასადი — 0,5:0,5, ერნსტი-ზაპატა — 0,5:0,5.

მსოფლიოს უნივერსიადაზე

დასასრული

ადგილი დაიკავეს (ჩვენს თანამემამულეს ეკა ზეთურიძეს მეოთხე შედეგი ჰქონდა). გუნდური გამარჯვების საკითხი მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ წარმატებამ გადაწყვიტა. საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ე. ზეთურიძე, ა. შჩენნიკოვა, ვ. კოლესნიკოვა და ე. შუშუნოვა და რომელმაც 118,55 ქულა დააგროვა, ოქროს მედალი გადაეცა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუმინელი გოგონები გამარჯვებულ კოლექტივს 1,70 ქულით ჩამორჩნენ. ტანვარჯიშში ეს არც ისე მცირე უპირატესობას ნიშნავს.

ეკა ზეთურიძემ ამ ოქროს მედლის გარდა ზაგრებში კიდევ ერთი ჯილდო დაიმსახურა. დვირზე ვარჯიშში მას ბრინჯაოს მედალი გადაეცა.

ახალი სპორტული გამოცემა

მსოფლიო სპორტულ გამოცემებს კიდევ ერთი თანამოძმე შეემატა. ეს არის 16-გვერდიანი ყოველკვირეული გაზეთი „ძეზფიუ“ („გამოწვევა“), რომელიც ამიერიდან მოზამბიკში გამოვა. გაზეთი ვრცლად გააშუქებს, როგორც ქვეყნის, ისე უცხოეთის სპორტულ ცხოვრებას. გამოცემის საწყისი ტირაჟი 25 ათასი ეგზემპლარი.

ტანმოვარჯიშეები ფეხბურთში იწყებენ

გუშინ ბათუმში დაიწყო სპორტული სკოლები. მოსწავლეთა I საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა სპორტულ ტანვარჯიშში.

თავდაპირველად სპორტსმენები საერთო ფიზიკურ მომზადებაში ცდიდნენ ძალებს. დღეს მონაწილეებს დასვენების დღე აქვთ, ხვალ კი ისინი (გოგონებიც და ჭაბუკებიც) სავალდებულო პროგრამაში იასპარეზებენ.

შეჯიბრებაში გამოდიან საბჭოთა არმიის, „შრომითი რეზერვების“, „დინამოს“, პროფკავშირთა (2 გუნდი), რსფსრ-ს (განათლების სამინისტრო), უკრაინის (განათლების სამინისტრო), დასავლეთი ზონის (სსრ კავშირის განათლების სამინისტრო), სამხრეთი ზონის (სსრ კავშირის განათლების სამინისტრო) და საქართველოს ნაკრები გუნდები — სულ 120 ტანმოვარჯიშე.

ვინ გამოვა სარბიელზე?

ტურნირში 1973-1975 წლებში დაბადებული ჭაბუკები და 1974-1976 წლებში დაბადებული გოგონები ასპარეზობენ. ჩვენი რესპუბლიკის გუნდში 9 თბილისელია, თითოც — ქუთაისელი, ზუგდიდელი და ბათუმელი სპორტსმენი.

გოგონათა გუნდის ღირსებას იცავენ ლია აბდუშელიშვილი, მაია გიორგაძე, სოფიკო მანაგაძე (ქუთაისი), სტელა დავიდოვა, ქეთინო ონიკაური და ნათია სააკიანი. ჭაბუკთა გუნდში გამოდიან ნიკოლოზ ბარამიძე, ზვიად ყალიჩავა (ზუგდიდი), გიორგი კოსტანიანი, ვალერი ოგანეზოვი, გენადი სურმანიძე (ბათუმი) და ლევან სეხნიაშვილი. ტურნირის მონაწილენი თბილისაა და ლესელიძეში გამართული ორთვიანი შეკრების შემდეგ ჩავიდნენ ბათუმში.

როგორც რუსეთის სახელმწიფო სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილებაში გვითხრეს, ჩვენს ტანმოვარჯიშეებს ერთობ მოკრძალებული ამოცანა აქვთ დასახული — მერვე ადგილი.

„ლელოს“ კორ.

„ფორმულა 1-ის“ ტრასებზე

ალან პროსტი ლიდერია



„ფორმულა-1“-ის ავტომობილებით რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი 5 ივლისს გაიმართა საფრანგეთში, „პოლ რიკარის“ ტრასაზე, რომელიც 1983 წლის შემდეგ დახურული იყო შესაკეთებლად. ბოლო „დიდი პრიზი“ აქ ალენ პროსტმა მოიპოვა. წინა, მეხუთე ეტაპზე, როგორც ცნობილია, შესანიშნავად იასპარეზეს და პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს ბრაზილიელებმა აირტონ სენამ და ნელსონ პიკემ, ხოლო ალენ პროსტი მესამე ადგილით „დაკმაყოფილდა“. სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობა იყო: პროსტი ორი ქულით ჩამორჩებოდა სენას და ოთი ქულით უსწრებდა პიკეს. სწორედ ამიტომ, „პოლ რიკარის“ ახლად გახსნილ ტრასაზე გამართულ ეტაპს ბევრი რამ უნდა გაერკვია.

სტარტზე, როგორც ყოველთვის, პირველ რიგში, ნაიჯელ მენსელისა და აირტონ სენას მანქანები იდგა.

რბოლა ძალზე საინტერესოდ წარიმართა. პროსტი, რომელიც თავიდან ჩაუდგა სათავეში ასპარეზობას, შეცვალა სენამ, შემდეგ კი პიკე დაწინაურდა. საბოლოოდ პირველობა ხელთ იგდო ნაიჯელ მენსელმა და „დიდი პრიზიც“ მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა ნელსონ პიკე, რომელმაც ტრასის რეკორდი დაამყარა, მესამე იყო ალენ პროსტი.

რბოლის დროს ავარიაში მოხვდა და ცეცხლი წაეკიდა იტალიელი ანდრეა დე ჩეზარისის „ბრუბემს“. საბედნიეროდ, ხანძარი დროულად ჩაქრეს და მრბოლი არ დაშავებულა.

მეექვსე ეტაპის შედეგები: 1. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ვილიამს ჰონდა“) — 9 ქულა; 2. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ვილიამს ჰონდა“) — 6; 3. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენი“) — 4; 4. აირტონ სენა (ბრაზილია, „ლოტუს ჰონდა“) — 3; 5. ტეო ფაბი (იტალია, „ბენეტონ ფორდი“) —2; 6. ფილიპ სტრაიფი (საფრანგეთი, „ტაირელ ფორდი“) — 1 ქულა.

პირად ჩათვლაში ექვსი ტურის შემდეგ 27 ქულით კვლავ აირტონ სენა ლიდერობს. მეორე ადგილზეა ალენ პროსტი, რომელსაც 26 ქულა აქვს. მესამეა ნელსონ პიკე — 24 ქულა; შემდეგი ადგილები ასე განაწილდა: 4. ნაიჯელ მენსელი — 21; 5. ს. იოჰანსონი — 13; 6. გ. ბერგერი — 9; 7. მ. ალბორეტო — 8; 8-9. ა. დე ჩეზარისი, ედი ჩივერი — 4-4; 10. ს. ნაკაჰიმა — 3; 11-14. ტ. ბუტსანი, მ. ბრანდლი, ჯ. პალმერი, ტ. ფაბი — 2-2; 15-17. რ. არნეე, ი. კაპელი, ფ. სტრაიფი — 1-1 ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობაში დაწინაურდა „ვილიამს ჰონდა“. მას 45 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა „მაკლარენი“ — 39 ქულა; მესამეზე — „ლოტუს ჰონდა“ — 30; შემდეგი ადგილები: 4. „ფერარი“ — 17; 5-7. „ბრებემ ბე-იმ ვე“, „ეროუზ ბე-ემ-ვე“, „ბენეტონ ფორდი“ — 4-4 ქულა; 8. „ტაირელ ფორდი“ — 3; 9. „ცაკსპიდი“ — 2; 10-11 „ლიჟიე“, „მარჩ ფორდი“ — 1-1 ქულა.

12 ივლისს ინგლისში, სილვერსტოუნის ტრასაზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი. „დიდი პრიზი“ მოიპოვა ნაიჯელ მენსელმა და 30 ქულით ლიდერობს. ამ ეტაპის შედეგებს სრულად მოგაწვდით.

დავით ჩუბინიძე.

ჩემპიონთა ჩემპიონი

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი წყალში მხტომელი იყო ავსტრიაში დაბადებული, წარმოშობით იტალიელი კლაუს დიბიასი, მისი მაჩვენებლები დღესაც მიუწვდომელია. 1964, 1968 და 1972 წლების ოლიმპიურ თამაშებზე დიბიასმა ოქროს მედლები მოიპოვა. გარდა ამისა, მის სპორტულ ნადავლშია კიდევ ორი ოლიმპიური „ვერცხლი“ და სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე მოპოვებული უმაღლესი ჯილდოები.

ახლა 40 წლის კლაუს დიბიასი იტალიის წყალში მხტომელთა ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობს.

ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, ამას წინათ გაზეთ „იუნგე ველტში“ (გდრ), ეამოქვეყნდა.

კითხვა: როგორი უნდა იყოს წყალში მხტომელი, რომ თქვენი ლეგენდარული მიღწევა გაიმეოროს?

პასუხი: მიჭირს პასუხის გაცემა, მით უმეტეს, რომ დღევანდელ პირობებში თითქმის შეუძლებელია ოლიმპიური „ოქროს“ ზედიზედ სამჯერ მოპოვება. წყალში ხტომის ტექნიკა გართულდა, სპორტსმენები ვეღარ უძლებენ დაძაბულობას.

კითხვა: რა პერსპექტივები აქვს თქვენი საყვარელი სპორტის სახეობას?

პასუხი: შესაძლოა, რომ უახლოეს მომავალში გამოჩნდეს სპორტსმენი, რომელიც კოშკიდან ხტომისას შესძლებს 4,5 ბრუნის დელფინის სტილით შესრულებას.

კითხვა: როგორია თქვენი პროგნოზი სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.

პასუხი: აქამდე ასეთი კითხვა არავის დაუსვამს ჩემთვის, მაგრამ ვეცდები გიპასუხოთ. ჯერჯერობით უძლიერესად კვლავ ამერიკელი გრეგ ლუგანისი მიმაჩნია. რაც შეეხება გუნდების წარმატებას, ადგილები, ალბათ, ასეთი თანმიმდევრობით განაწილდება: აშშ, ჩინეთი, საბჭოთა კავშირი. ვფიქრობ, სერიოზულ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს ამ სამ გუნდს.

პუბლიკაცია მოამზადა მალხაზ რადიანმა.

17 ივლისს, 14 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტის სასახლის საქტო დარბაზში (აკ. წერეთლის გამზირი, № 95 ა) გაიმართება ქ. თბილისის პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებების საქალაქო საბჭოების გაერთიანებული პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. საორგანიზაციო საკითხები.
2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის, სსრ კავშირისა და საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობების მოთხოვნათა შესაბამისად ქ. თბილისის პროფკავშირთა ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07010